

განმარტებითი ბარათი

„გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესახებ“

საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონის პროექტის მიზეზი:

ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მიზეზი განპირობებულია პრაქტიკაში არსებული იმ ფაქტებით, რაც იწვევს დაპირისპირებას ან ურთიერთგარიგების საშუალებას რეგულირების ობიექტებსა და გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომლებს შორის, კერძოდ: არის შემთხვევები, როცა ინსპექციის თანამშრომლები რეგულირების ობიექტებს ამოწმებენ თავიანთი შეხედულებით და წესების დარღვევით, რის გამოც არგუმენტირებული საფუძვლებით რეგულირების ობიექტები არ ემორჩილება და ამასთან ეჭვს გამოთქვამენ ინსპექტირების ნამდვილობაზე. აქედან გამომდინარე, საკითხის დარეგულირების მიზნით, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, კანონით უნდა გახდეს აუცილებელი, რომ ინსპექტირების დროს, ინსპექციის თანამშრომელს ეცვას უნიფორმა, თან ჰქონდეს პირადობის მოწმობა, მასზე გაპიროვნებული ლუქი და ბეჭედი და ასევე გემზე და სხვა მცურავ საშუალებებზე ინსპექციის განხორციელებისათვის სპეციალური ვიშპელი, რომლის ნიმუშებიც წინასწარ იქნება შემუშავებული სამინისტროს მიერ.

გარემოს დაცვის ინსპექტორს ევალება რეგულირების ობიექტის მიერ გარემოს დაბინძურების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მიზნით შეადგინოს ოქმი და მოითხოვოს ანაზღაურება. არის შემთხვევები, როცა ოქმის დაკმაყოფილება რეგულირების ობიექტის მიერ არ ხდება განზრახვლობით ან თანხების არ ქონის გამო. ზიანის ანაზღაურებაც უნდა მოხდეს აუცილებლად შეზღუდულ დროში. საკმარისი 48 საათი, წინააღმდეგ შემთხვევაში ინსპექციის მუშაკმა უნდა შეიტანოს შესაბამისი სარჩელი სასამართლოში. საკითხის უფრო მეტად დარეგულირების მიზნით საჭიროა, რომ ინსპექტირების დროს ინსპექტორი იყოს უნიფორმაში და ამასთან თან ჰქონდეს ზონარგაყრილი ინსპექტირების ჟურნალი, სადაც მოხდება რეგისტრირება გაფორმებული ოქმებისა და აქტებისა. მე-18 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში წარმოდგენილი ცვლილება ზრდის პასუხისმგებლობას რეგულირების ობიექტების და ერთად აღებული, ქმნის ნაკლებ შანსს, რომ მოხდეს რაიმე სახის გარიგება ან უსაფუძვლო დაპირისპირება და უთანხმოება ინსპექციის თანამშრომელსა და რეგულირების ობიექტებს შორის.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მიზანია, ნაკლები შანსი იყოს კორუფციისა და მოხდეს ჰარმონიზაცია გარემოს დაცვის ინსპექციასა და რეგულირების ობიექტებს შორის, ამაღლდეს ურთიერთობებს და მოწესრიგდეს უფლება-მოვალეობანი.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

წარმოდგენილი ცვლილებებითა და დამატებებით მკაფიოდ გაიმიჯნება უფლება-მოვალეობანი გარემოს დაცვის ინსპექციასა და რეგულირების ობიექტებს შორის. აღარ იარსებებს საფუძვლები, რომელიც საეჭვოს გახდის მათ ურთიერთთანამშრომლობას. გამორიცხავს კორუფციის ეჭვების საფუძვლებს და საერთოდ, თითქმის მოისპობა ეჭვიანობის საფუძვლები, რაც, პრაქტიკაში საკმაოდაა დანერგილი სუბიექტური მიდგომებით. გამოირიცხება გაუგებრობები, შემცირდება ზიანი, დაცული იქნება გარემო, სახელმწიფო კონტროლისა და რეგულირების ობიექტების მოქმედების ურთიერთდამოკიდებულება, საკანონმდებლო ჩარჩოს ლუფტი უფრო შემცირდება.

ბ. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი დაფინანსების წყარო

აღნიშნული კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტი, ფინანსური ზეგავლენა არ განხორციელდება.

გ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სტანდარტებთან

კანონპროექტი შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

წინამდებარე კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენი ქვეყნის წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

ეს კანონპროექტი არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან. პირიქით, გარკვეულწილად შესაბამისობაში მოდის შავი ზღვის ქვეყნების კონვენციასთან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

კანონპროექტის მომზადების პროცესში ჩატარდა კონსულტაციები აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის წევრი მირიან ნუმანიშვილი და კომიტეტის აპარატის უფროსი ნოდარ ირემაძე.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.